

მცირე ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა:

ებრაულ-ქართული მოდელი

ლაშა ზანგურაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი, პოლიტიკის
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ლაშა ზანგურაშვილი

05.05.2014

აბსტრაქტი

ეროვნული უსაფრთხოების შესახებ შექმნილი აღნიშნული ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით წარმოადგინოს სიღრმისეული კვლევა, თანამედროვე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, მცირე ქვეყანათა ეროვნული უსაფრთხოების სისტემისა და სამოქმედო სტრატეგიის განსაზღვრის პროცესში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. დიდი ძალაუფლების მქონე იმპერიული ზრახვებით შეპყრობილი სახელმწიფოს მიერ, სუვერენული, მცირე ქვეყნების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებში უხეში ჩარევის ფაქტები არის ის მიზეზი, რომლის აღმოფხვრისკენაც არის აღნიშნული ნაშრომი მიმართული.

ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვას წარმოადგენს: შეუძლიათ თუ არა მცირე ქვეყნებს ეფექტური უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოება აქტიური სამხედრო მხარდაჭერის გარეშე? ამ კითხვაზე საპასუხოთ გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მოდელი და სიტუაციური ანალიზის (Case Study) მეთოდი, რომელიც ისრაელის 1948-1980-ნი წლების გამოცდილებასა და საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენათა შედარებით ანალიზს წარმოადგენს. ასევე გადამოწმებულია, საერთაშორისო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების კვლევებში არსებული თავდასხმითი და თავდაცვითი რეალიზმის სტრატეგიები და მათი თავსებადობა დღევანდებლობასთან.

ემპირიულ მაგალთებზე დაყრდნობით ჩატარებულმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ ქვეყნის წინაშე არსებული მდგომარეობის სწორი შეფასება და მის მიხედვით სამოქმედო გეგმის დასახვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალის დაგროვების პოლიტიკაზე დამყარებული უსაფრთხოების სისტემის მშენებლობა.

ნაშრომის საკვლევ კითხვის პასუხად დავადგინეთ, რომ ნეორეალისტური თეორიისთვის დამახასიათებელი თავდაცვა-თავდასხმითი ბალანსის სტრატეგიის გამოყენება, საშუალებას აძლევს მცირე ქვეყნებს, საკუთარი ეროვნული ინტერესებსა და სტრატეგიულ მისწრაფებებზე უარის თქმის გარეშე, საგარეო თუ საშინაო ასპარეზზე უზრუნველჰყონ მოქალაქეთათვის უსაფრთხო გარემო.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მცირე ქვეყნები, ეროვნული უსაფრთხოება, ნეორეალიზმი, თეორია, სტრატეგიები.

Abstract

The pursue of this thesis, about national security, is to present an in depth study of the existing scientific literature, All of this is related to the difficulties witch accompany the geopolitical situation of the small States. These things are happening in this country's national security strategy, system and determining the process. This Work serves a total elimination of the great powers of a sovereign state and a slight obsession with domestic and foreign interference in the political process.

The main question of this research is: Can small states engage in war without the support of an effective security policy?

To answer this question, we used a qualitative model of research, where the constitutional analysis of the event that had heppend in Israel in the years 1948-1980 and the independence to the present day of Georgia's. Also checked offensive and defensive strategies and there compatibility with today's. All above is given in international relations and security studies. Based on the analysis conducted empirica examples showed that, much more important to correctly assess the situation and action plans. In response to the research question of the thesis, we estimated that neorealism theory of offence-defence balance allows small states to ensure a safe enviroment for this citizens. This makes it possible to be their own national interests and strategic aspirations without a renunciation.

Key Words: Small states, National security, Neorealism, Theory, Strategies